# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 373

„ 2 " ოქტომბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ე.წ. ივერთუბანში, ზაქარია ჯორჯაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ბარაკონის (ძველი ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ძეგლი რაჭაში) სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ჩუღურეთის რაიონში, ე.წ. ივერთუბანში, ზაქარია ჯორჯაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ბარაკონის (ძველი ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ძეგლი რაჭაში) სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X_ 486593.281
Y_ 4619636.936
გარაკონის ქუჩა
X_ 486488.385
Y_ 4619610.461
X_ 486148.461
Y_ 4619555.996
გარაკონის ქუჩა
X_ 486295.988
Y_ 4619556.602